საქართველოს უზენაესი სასამართლო

სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა

(შემაჯამებელი ოქმი)

2013 წლის 18 ივლისი

თბილისი

საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრაზე განხილულ საკითხთა ნუსხა

1.სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება

1.1. უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთება

1.2. სასარჩელო მოთხოვნისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატური შესაბამისობა

1.3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების საპროცესო-სამართლებრივი ბერკეტები

1.4. საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უკიდურესი ზომა

1.5. ამხანაგობის ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა

2. გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა

2.1. გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა - საკანონმდებლო დანაწესი და სასამართლო პრაქტიკა

3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისა და ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წარმომადგენლობა სასამართლოში

3.1.ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენლობა სასამართლოში

3.2. ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წარმომადგენლობა სასამართლოში

4. სარგებლისა და ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

5. დაუძლეველი ძალა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება

1.1. უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით **სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია,** ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები **გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.** ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა ყოველთვის ქმნის ვალდებულების მომავალშიც შეუსრულებლობის პრეზუმფციას, სწორედ უფლებათა და კანონით დაცულ თავისუფლებათა ამგვარი ხელყოფისაგან იცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და ასევე ყველა ის ბერკეტი, რასაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც, სასამართლო აღნიშნული ბერკეტების უმოქმედობასა და უუნარობაში დარწმუნდება, საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში, ყველა სარჩელი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წინასწარ, რითაც აზრი დაეკარგება გადაწყვეტილების აღსრულების კანონისმიერი მექანიზმების არსებობას. თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია **უტყუარი მტკიცებულებების** წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა

გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ[1]. **ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.**

1.2. სასარჩელო მოთხოვნისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატური შესაბამისობა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა და მოპასუხის ინტერესს შორის. სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და შესაბამისად, შეარჩიოს უზრუნველყოფის ღონისძიების ესა თუ ის სახე, თუ სასამართლო მიხედულობით სარჩელს სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების პრეტენზია გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელს ნაწილობრივი დაკმაყოფილების პერსპექტივა აქვს, აღნიშნული გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სარჩელის უზრუნვლეყოფის ღონისძიების შერჩევისას.

თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდება, რომ ამ გზით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულება დაბრკოლდება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას დანიშნულება დაეკარგება. ამდენად, მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უნდა დაადასტუროს მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების **ადეკვატურობა სასარჩელო მოთხოვნასთან.** ნიშანდობლივია, რომ მოთხოვნისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატური შესაბამისობის დადასტურება უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთების ერთ-ერთი კომპონენტია **(იხ.1.1. უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთება).** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის მიერ მითითებული უზრუნველყოფის სახითა და ფარგლებით. კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს, მართალია, მოსარჩელეს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი, ამასთან, მიუხედავად შუამდგომლობის ავტორის მითითებისა, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იგი არაა შეზღუდული, თავად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება იქნება უფრო ეფექტური[2].

სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე.

---

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინება №ას-1461-1379-2012

[2] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება №ას-1185-1114-2012

უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.

სასარჩელო მოთხოვნისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატური შესაბამისობის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება წარმოშვას დაუსაბუთებლად გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ამდენად, სასარჩელო მოთხოვნისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატური შესაბამისობის დადასტურების ვალდებულება **მოსარჩელეს ეკისრება.** მოსამართლე **მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ადეკვატურ უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს.** იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელემ სათანადოდ არ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატურობა სასარჩელო მოთხოვნასთან და აღნიშნული არც საქმის მასალებიდან არ იკვეთება, სასამართლო, მხოლოდ **გარდაუვალი აუცილებლობის გათვალისწინებით,** იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას. ასეთ ვითარებაში საჩივრის ავტორის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენს უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არაადეკვატურობის დადასტურება. აქვე აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მითითება უზრუნველყოფის ღონისძიების არაადეკვატურობაზე საკმარისი არ არის და საჩივარს უნდა ერთვოდეს მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

1.3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების საპროცესო-სამართლებრივი საშუალებები

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების ერთ-ერთ საპროცესო-სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დასაბუთებული განცხადების წარდგენის ვალდებულება (იხ. **1.1. უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთება და 1.2. სასარჩელო მოთხოვნისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატური შესაბამისობა**). თუმცა, მიუხედავად ადეკვატური სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება ზიანს აყენებდეს მოპასუხეს. განსახილველ შემთხვევაში ზიანის ცნების ქვეშ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება უფლების დროებით შეზღუდვა, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულებაც სწორედ უფლების დროებით შეზღუდვაა (გასხვისების აკრძალვა, ქმედების განხორციელების აკრძალვა, ნივთობრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვა და ა. შ). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება გულისხმობს უფლების დაუშვებელ ხელყოფას, როგორიცაა მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. ამდენად, მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის შებრუნება, ანუ მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის მოთხოვნა, მოპასუხის უფლებაა და **დაკმაყოფილებას მხოლოდ მოსალოდნელი ზიანის დასაბუთების პირობებში ექვემდებარება, უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნების გამოყენება შესაძლებელია ასევე სასამართლოს ინიციატივითაც, როდესაც ზიანის დადგომა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით აშკარა და თვალსაჩინოა.**

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის დადგომის თავიდან აცილების კიდევ ერთ საპროცესო საშუალებას წარმოადგენს უზრუნველყოფის ერთი საგნის მეორით ჩანაცვლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. იმავე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე.

აღნიშნული ნორმით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებად მიიჩნევს, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთხოვნით და მისი სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე გამოვლინდეს. კანონი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს რა მოპასუხის საფუძვლიან შიშს, უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უმართებულობაზე (სარჩელის დაუკმაყოფილებლობა), მოპასუხის ინტერესების დაცვის სხვადასხვა სამართლებრივ ბერკეტებს (მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა) ადგენს, მათ შორის, საჩივრის ავტორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მოპასუხეს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა მხარეთა თხოვნით **სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ორივე მხარის თხოვნის აუცილებლობით, რადგან გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის თანმდევი ტვირთი და რისკი ორივე მხარეს აქვს.** შესაბამისად, თუკი ესა თუ ის მხარე კონკრეტულ საქმეში ასაბუთებს გამოყენებული უზრუნველყოფის უპერსპექტივობას, მაგალითად, ღირებულების დაკარგვის ან პირიქით, მის სასარჩელო მოთხოვნასთან შეუსაბამობით, მას მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე შეუძლია, მოსთხოვოს სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა[3].

---

[3] **აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება №ას-1185-1114-2012**

1.4. საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უკიდურესი ზომა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის ანგარიშებზე ყადაღის დადებით, არათუ ხელი შეეწყობა გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ შეიძლება ხელი შეუშალოს მოვალის, როგორც მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები. ამდენად, იურიდიული პირის პირად ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ვეღარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით ვეღარ შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. **თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ანგარიშზე ყადაღის დადება დაუშვებელია.** მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, **უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ოდენობის გათვალისწინებით და არა ანგარიშზე არსებულ მთლიან თანხაზე.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის დადებით ზიანი ადგება, ასეთ ვითარებაში მოპასუხემ საჩივრის განხილვის ეტაპზე ზიანის მიყენების ფაქტი უნდა დაადასტუროს და მტკიცებულებებით დადასტურებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნება ან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით შეცვლა უნდა მოითხოვოს.

1.5. ამხანაგობის ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა

ამხანაგობის ვალდებულებებისათვის ამხანაგობის წევრები პასუხს სოლიდარულად აგებენ. სამართლებრივი თვალსაზრისით, სირთულეს წარმოადგენს ხელშეკრულების ტიპის დადგენა, ანუ რასთან აქვს უფლებადარღვეულ პირს საქმე, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებასთან (ამხანაგობასთან), თუ შერეულ ხელშეკრულებასთან (ამხანაგობა, ნარდობა, ნასყიდობა და ა. შ.),

ანუ მოპასუხეთა წრის განსაზღვრა დამოკიდებულია სწორედ ხელშეკრულების ტიპის დადგენაზე, რადგან ხელშეკრულების ტიპის დადგენის შედეგად იკვეთება სარჩელზე მატერიალურსამართლებრივად პასუხისმგებელი პირები, ანუ მოსარჩელის სარჩელზე სათანადო მოპასუხეთა წრე. მას შემდეგ, რაც მოსარჩელე ხელშეკრულების ტიპის იდენტიფიცირებას მოახდენს და სარჩელზე პასუხისმგებელ პირებს განსაზღვრავს, შესაძლებელი ხდება უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნა (იგივე უნდა გაკეთდეს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილ განცხადებაში), თუმცა, უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებაში მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა იყოს მითითებული ზემოხსენებული კრიტერიუმები, კერძოდ, სამართალურთიერთობის ტიპი, ხელშეკრულების სახე, მოპასუხეთა წრე, სხვაგვარად განცხადების დასაშვებად ცნობამ, წარმოებაში მიღებამ და მოპასუხეთა მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ შეიძლება იმ პირთა უფლებები შელახოს, რომლებიც მითითებულ სარჩელზე სათანადო მოპასუხეებს არ წარმოადგენენ. მართალია, მოპასუხეთა წრის განსაზღვრა იმთავითვე მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, თუმცა, იმ შემთხვევაში თუ პირი მიიჩნევს, რომ იგი წარმოდგენილ სარჩელზე წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს ან მესამე პირს, საჩივრის ეტაპზე უფლება აქვს მოითხოვოს მისი, როგორც არასათანადო მოპასუხის, მიმართ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენისას უნდა მოითხოვოს ისეთ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომელზეც მესამე პირს მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, ანუ თუ საჯარო რეესტრის ამონაწერიდან იკვეთება მესამე პირთა რეგისტრირებული სამომავლო უფლებები, ასეთ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იმ პირთა ქონებაზე, რომელთაც შეძენილი აქვთ უძრავი ქონება, თუმცა, მხოლოდ სამომავლო უფლება აქვთ მასზე დარეგისტრირებული, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. უფრო მეტიც, თუ ქონება შეძენილია, მაგრამ საკუთრების უფლება ან სამომავლო უფლება მასზე რეგისტრირებული არ არის, მესამე პირის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, შეიძლება არსებობდეს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი.

ამდენად, იმ ქონებაზე, რომელზეც საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მესამე პირთა მოთხოვნის უფლებაა დარეგისტრირებული, უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის უფლება რეგისტრირებული არ არის, მსგავსი უფლებით დატვირთული ქონების უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან გათავისუფლება მხოლოდ იმ მესამე პირის განცხადების საფუძველზეა დასაშვები, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნულ ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება გააჩნია. ნიშანდობლივია, რომ მრავალსართულიან შენობაში თითოეულ მესაკუთრეს აქვს თავისი წილის შესაბამისი საკუთრების უფლება მიწაზე, ამდენად, მიწაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომელზე არსებული შენობა ნაგებობას სხვა მესაკუთრეები ჰყავს, დაუშვებელია. ასეთ ვითარებაში, მოსარჩელემ უნდა მოახდინოს თავისუფალი უძრავი ქონების (გაუსხვისებელი ბინა, შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი) მოძიება და იდენტიფიცირება, ვინაიდან სასამართლომ

სწორედ ასეთ ქონებაზე უნდა მოახდინოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა არ შეილახოს მესამე პირების უფლებები და მესამე პირთა უფლებების დაუშვებელი ხელყოფით მოსარჩელეს არ წარმოეშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

1.6 დასკვნა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს დასაბუთებას. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელემ სათანადოდ არ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატურობა და აღნიშნული არც საქმის მასალებიდან არ იკვეთება, სასამართლო მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის გათვალისწინებით იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას. ასეთ ვითარებაში საჩივრის ავტორის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენს უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არაადეკვატურობის დადასტურება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების საპროცესო-სამართლებრივი ბერკეტებია - შებრუნების უზრუნველყოფა და უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლება. შებრუნების უზრუნველყოფა მოპასუხის უფლებაა და დაკმაყოფილებას მხოლოდ მოსალოდნელი ზიანის დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების პირობებში ექვემდებარება. უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნების გამოყენება შესაძლებელია ასევე სასამართლოს ინიციატივითაც, როდესაც ზიანის დადგომა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით აშკარა და თვალსაჩინოა. თუკი ესა თუ ის მხარე კონკრეტულ საქმეში ასაბუთებს გამოყენებული უზრუნველყოფის უპერსპექტივობას ან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, მას მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე შეუძლია, მოსთხოვოს სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა. საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უკიდურეს ზომას. იმ ქონებაზე, რომელზეც საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მესამე პირთა მოთხოვნის უფლებაა დარეგისტრირებული, უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის უფლება რეგისტრირებული არ არის, ასეთ შემთხვევაში მსგავსი უფლებით დატვირთული ქონების უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ მესამე პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მოთხოვნის უფლება გააჩნია.

2. გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა

2.1. გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა - საკანონმდებლო დანაწესი და სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში. ამავე კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

ამდენად, აღსრულების გადადება, განაწილვადება ან კიდევ აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა წარმოადგენს საპროცესო სამართლებრივ საშუალებებს, რომლის გამოყენების შესაძლებლობას კანონმდებელი როგორც გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე, ასევე გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც უშვებს, თუმცა, საამისოდ აუცილებელი სპეციალური წინაპირობების არსებობისას[4].

გადაწყვეტილების აღსრულების გადადება წარმოადგენს მისი აღსრულების ვადის გადატანას სხვა, უფრო გვიანი პერიოდისათვის, ვიდრე დადგენილია კანონით. აღსანიშნავია, რომ ეს შესაძლებლობა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ, ისეთ ობიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით, რომ ამით გაუმართლებლად არ შეილახოს კრედიტორის ინტერესი. ასეთ დროს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის მიზანშეწონილობა, საჭიროება, მხარეთა ინტერესის ბალანსი და ა.შ. გადაწყვეტილების აღსრულების გადადებით, ფაქტობრივად მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა, ნებაყოფლობით აღასრულოს გადაწყვეტილება და იძულებითი აღსრულების გზით დამატებითი ქონებრივი დანაკლისი, როგორიცაა აღსრულების ხარჯები, ქონების განახევრებულ, ხოლო შემდეგ კი გამეოთხედებულ ფასში გასხვისების რისკი, არ განიცადოს. აღსანიშნავია, რომ მითითებული საპროცესო-სამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენება დასაშვებია, თუმცა, უნდა არსებობდეს შემდეგი აუცილებელი წინაპირობები: **მოვალის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით,** გადავადების მიზნისა და დანიშნულების დასაბუთება, ანუ **გადავადების უპირობო უპირატესობა,** როგორც მოვალის ქონებრივი ინტერესის, ასევე მესამე პირთა (სხვა მოვალეთა) ინტერესის გათვალისწინებით და რაც მთავარია, **გადავადებით დაუშვებლად არ უნდა ილახებოდეს კრედიტორის ინტერესი,** რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს გადავადებული დროისთვისაც უნდა ჰქონდეს გადავადებით **„დაკარგული“ შემოსავლის ანაზღაურების შესაძლებლობა** და კრედიტორს **არ უნდა ჰქონდეს გადავადების საწინააღმდეგო დაცვის ღირსი რაიმე სპეციალური ინტერესი.**

2.2 დასკვნა

გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა კანონისმიერი დანაწესია, შესაბამისად, მისი გამოყენება სასამართლოს მხრიდან სხვა არაფერია, თუ არა ნორმის პრაქტიკაში რეალიზება, თუმცა, მნიშვნელოვანია ნორმის სწორი

[4] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 მარტის განჩინება № ას-1162-1091-2012

პრაქტიკული იმპლემენტაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მითითებული საპროცესო სამართლებრივი საშუალების გამოყენება დაიშვება ისეთი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების არსებობის პირობებში, როდესაც ცალსახაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების მიზანშეწონილობა და სახეზეა აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გამოყენების პატივსადები ინტერესი.

3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისა და ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წარმომადგენლობა სასამართლოში

3.1.ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენლობა სასამართლოში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია ერთი ან რამდენიმე პირის წარმომადგენლობა სასამართლოში, იგულისხმება, რომ წარმომადგენელს გააჩნია ზოგადი უფლებამოსილება, წარმოადგინოს თავისი მარწმუნებლები სასამართლოში. მაგალითად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის" 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის შემთხვევაში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე გამოდის სასამართლოში ან სხვა ორგანოებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სახელით. აღნიშნული ჩანაწერი კი ნიშნავს იმას, რომ თავმჯდომარის, როგორც ამხანაგობის წარმომადგენლის, ზოგადი უფლებამოსილების დასადასტურებლად საკმარისია კრების ოქმი, რომლითაც პირი ამხანაგობის თავმჯდომარედ არის არჩეული. თუმცა, მითითებული წარმომადგენლობა ამხანაგობის თავმჯდომარეს არ ანიჭებს იმ სპეციალურ უფლებამოსილებებს, რომელიც დავალების ხელშეკრულებაში სპეციალურ მითითებას საჭიროებს, შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს მითითებულ კრების ოქმში სპეციალურად უნდა ჰქონდეს ჩამოთვლილი ის სპეციალური უფლებამოსილებანი, რასაც ცალკე მითითება სჭირდება.

3.2. ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წარმომადგენლობა სასამართლოში

ბინათმენაშენეთა ამხანაგობის თავმჯდომარეობა ავტომატურად არ ნიშნავს ამხანაგობის წარმომადგენლობას სასამართლოში, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლები მსგავს ჩანაწერს არ შეიცავს, შესაბამისად, ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წარმომადგენლობისათვის აუცილებელია, ამავე ამხანაგობის წევრების მიერ საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული მინდობილობა (რწმუნებულება), დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

4. სარგებლისა და ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

მოპასუხისათვის თანხის გადახდის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის საფუძველს, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მოსარჩელისა და მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრეს. მაგალითისათვის, როდესაც მხარე ითხოვს სარგებელს, დაუშვებელია მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან სარგებლისა და ზიანის ანაზღაურების საფუძვლები სხვადასხვაა[5].

403-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი გადაცილებული დროისათვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ პროცენტთან დაკავშირებით, **გულისხმობს არა იმ პროცენტს, რომელზეც მხარეები ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეთანხმდნენ, არამედ სპეციალურად ვადაგადაცილებისათვის შეთანხმებულ პროცენტს,** შესაბამისად, ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მოვალეს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტი არ ეკისრება. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო; ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: 1)მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; 2) ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; 3) ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე[6].

თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი (ფიზიკური პირი) დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ვადაგადაცილებული პერიოდისათვის მიუღებელ შემოსავალს საერთოდ ვერ მიიღებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, რომ ნებისმიერი პირი, იქნება ეს ფიზიკური პირი, თუ საკრედიტო დაწესებულება, საკუთარი ფულის სხვისთვის სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნული თანხის სრულად დაბრუნებამდე, უფლებამოსილია, მოითხოვოს ე.წ. „დაკარგული პროცენტი", მიუღებელი შემოსავლის სახით. მიუღებელი შემოსავალი ფიზიკური პირი კრედიტორებისათვის საანაბრე პროცენტია, ანუ რასაც ფიზიკური პირი მიიღებდა ფულადი თანხა, ნაცვლად მოვალისათვის გადაცემისა, საბანკო ანაბარზე რომ განეთავსებინა[7], ხოლო

---

[5] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განჩინება № 1136-1067-2012

[6] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის Nას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება

[7] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის პირველი მარტის განჩინება № ას-1576-1479-2012

საკრედიტო დაწესებულებისათვის - საკრედიტო ხელშეკრულების ვადის მოქმედების ფარგლებში მოვალესთან შეთანხმებული პროცენტი. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც მოსარჩელეს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის მიზნით აღებული აქვს სარგებლიანი სესხი, ასეთ ვითარებაში იგი უფლებამოსილია, ძირითად თანხასთან ერთად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუმცა, აღნიშნული ზიანი არ განეკუთვნება მიუღებელი შემოსავლის კატეგორიას, არამედ მითითებული ზიანი ფაქტობრივად დამდგარი ზიანია და მოთხოვნის საფუძველიც განსხვავებული აქვს.

5. დაუძლეველი ძალა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება

დაუძლეველი ძალა - ეს არის განსაკუთრებული და, მოცემულ პირობებში, აუცდენელი (გადაულახავი) გარემოება. როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში დაუძლეველ ძალას მიეკუთვნება ბუნებრივი მოვლენები (მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, შტორმი, ზვავი და ა.შ.) და საზოგადოებრივი მოვლენები (ომი, გაფიცვა, აღმასრულებელი ხელისუფლების მორატორიუმი და ა.შ.). ამასთან, იმისათვის, რომ გარემოება ნამდვილად ჩაითვალოს ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად, მას ყოველთვის უნდა ახასიათებდეს ორი ნიშანი: განსაკუთრებულობა და გადაულახავობა[8].

კანონი არ იძლევა დაუძლეველ ძალათა ზუსტ დეფინიციას და შესაბამისად, მოვლენათა numerus clausus-ის პრინციპით დაუძლეველ ძალად კვალიფიცირების შესაძლებლობას. დაუძლეველ ძალასა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას შორის ურთიერთკავშირი, შესაფასებელი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად უნდა დადგინდეს. დაუძლეველ ძალას უნდა ახასიათებდეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: **განსაკუთრებულობა და გადაულახავობა.** თუ რამდენად განსაკუთრებული და გადაულახავია ესათუის ფაქტორი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყოველი კონკრეტული პირისათვის, შეფასების საკითხია. ზოგადად, ის რაც ობიექტურად წინასწარ გათვლადი, პროგნოზირებადი და სიფრთხილის სტანდარტის დაცვის პირობებში თავიდან აცილებადია, დაუძლეველი ძალის მოტივით, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი ვერ გახდება.

ამდენად, დაუძლეველი ძალა, როგორც ხშირ შემთხვევაში საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა, მტკიცებას არ საჭიროებს. დაუძლეველი ძალის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. დაუძლეველ ძალასა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა მტკიცებას საჭიროებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაუძლეველი ძალა არ წარმოადგენს ვალდებულების შესრულებისაგან პირის გათავისუფლების საფუძველს. თუ ვალდებულების კრედიტორმა შესრულების მიმართ ინტერესი დაკარგა, მოვალე ვალდებულია, აღადგინოს პირველადი მდგომარეობა. ამდენად, დაუძლეველი ძალა ვალდებულების კრედიტორს პირველადი

[8] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12778

მოთხოვნებისაგან არ ათავისუფლებს, ის მეორადი მოთხოვნების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს[9].

[9]აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის ას-218-204-2011 განჩინება

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის ას-7-6-2010 განჩინება

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის ას-30-367-09 განჩინება